ნიუვაკ ლასოტა (Newvac la sota)

ნიუკასლის დაავადების საწინააღმდეგო, ატენუირებული ცოცხალი ვაქცინა

წამლის ფორმა: პერორალურად მისაღები და თვალში ჩასაწვეთებელი ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა

ვაქცინა შეიცავს ცოცხალ ლიოფილიზებულ ლასოტას დაბალი ვირულენტურობის ნიუკასლის დაავადების ვირუსის შტამს. 1 დოზა შეიცავს მინ. $10^{6.0}$ EID50 ND ვირუსს.

გამოშვების ფორმა: 1000 დოზიანი ფლაკონი.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ბიოლოგიური პრეპარატი

გამოყენების ჩვენებები

ვაქცინის გამოყენება რეკომენდებულია ჯანმრთელი წიწილების, ინდაურების, მტრედების, ციცრების, ხოხბების, მწყრების ნიუკასლის დაავადების საწინააღმდეგო იმუნიზაციისათვის. ვაქცინა გამოიყენება საწყისი და განმეორებითი ვაქცინაციისათვის.

გამოყენების წესი და დოზები

ნიუვაკ ლასოტა გამოიყენება თვალში ჩაწვეთების ან წყლთან ერთად დალევინების მეთოდით. პირველი ვაქცინაცია რეკომენდებულია 10-11 დღის ასაკში. რევაქცინაცია ტარდება პირველი ვაქცინაციიდან 4 კვირის შემდეგ.

ვაქცინის მომზადება:

ლიოფილიზებულ მასას დაამატეთ გამხსნელი ან არადეზინფიცირებული სუფთა წყალი. დაახურეთ რეზინის საცობი და შეანჯღრიეთ მანამ, სანამ არ გაიხსნება. ვაქცინა გამოყენებული უნდა იქნას მომზადებისთანავე.

თვალში ჩაწვეთების მეთოდი: მომზადებული ვაქცინის (50 დოზა/5 მლ) თითო წვეთი ეწვეთება თითოეულ თვალში. პიპეტის ზომა უნდა განისაზღვროს ისე, რომ ვაქცინის 1 მლ შეიცავდეს 20 წვეთს.

ვაქცინაცია წყლის დალევინების მეთოდით: ვაქცინაციამდე 48 სთ-ით ადრე და ვაქცინაციის შემდეგ 24 საათის განმავლობაში დასალევი წყალი არ უნდა შეიცავდეს

დეზინფექტანტებს და სხვა მედიკამენტებს. დასალევი მოწყობილობა უნდა გაირეცხოს სუფთა წყლით. წიწილებს ვაქცინაციამდე 2-4 საათი არ უნდა მიეცეს სასმელი წყალი. ფრინველების სადგომი ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ ფრინველების 2/3-მა ერთდროულად შეძლოს წყლის დალევა.

მომზადებული ვაქცინა ემატება არადეზინფიცირებულ წყალს და ეძლევა 30 დღის ასაკის წიწილებს - 10მლ/1 ფრთაზე;

30 დღეზე მეტი ასაკის ფრინველს - 20 მლ/ერთ ფრთაზე.

ყოველი 1000 დოზიანი ვაქცინა იხსნება შემდეგი რაოდენობის სუფთა წყალში:

ასაკი (დღე)	ვაქცინის დოზა (მლ)	წყლის რაოდენობა (ლ)
<30	10-12	1000
>30	15-20	1000

ფრინველს არ ეძლევა სხვა წყალი, სანამ მთლიანად არ დალევენ ვაქცინიან წყალს.

უკუჩვენებები

ვაქცინაცია არ ტარდება:

• კლინიკურად დაავადებული ფრინველების, კვების დეფიციტის და ნივთიერებათა ცვლის დარღვევის შემთხვევაში;

• სხვა ვაქცინაციიდან 10-14 დღის განმავლობაში.

• კვერცხისდების პერიოდში;

• ბუმბულის ცვლის პერიოდში;

• ტრანსპორტირების წინ ან შემდეგ.

დაყოვნების პერიოდი

7 დღე.

განსაკუთრებული მითითებები

• ნიუკასლის ვირუსმა შეიძლება ადამიანში გამოიწვიოს თვალის ანთება, რომელიც გრძელდება 2-3 დღის განმავლობაში. ამიტომ მომსახურე პერსონალი უნდა მოერიდოს ვაქცინის თვალთან კონტაქტს.

• ვაქცინა უნდა მომზადდეს იმ რაოდენობით, რომელიც მოიხმარება დაუყოვნებლივ.

• გამოყენებული ბოთლები და გამოუყენებელი ვაქცინა უნდა განადგურდეს.

შენახვის პირობები: სინათლისაგან დაცულ ადგილას, 2-8°C-ზე.

ვარგისიანობის ვადა: 24 თვე.

მწარმოებელი ქვეყანა: პასტერის ინსტიტუტი, რუმინეთი.